"მე შენ მიყვარდი, შენ მწამდი, შენ გემსახურებოდი, როგორც შემეძლო"...

# ნიკოლაძის გზით



ეროვნულ-საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაზეთი №8 (297) 3 სექტემბერი, პარასკევი, 2021 წელი; ფასი 1 ლ.

## დავუბრუნოთ ფოთს საქართველოს საზღვაო კარიბჭის, ისტორული ქალაქის-ფაზისის ფუნქცია

ფოთის მომავალი ყინულზე არ იწერება

2 ოქტომბერი ადგილობრივი არჩევნების დღეა

**ძლიერი რეგიონი - ძლიერი საქართველოსათვის**

ფოთს სჭირდება რეალური თვითმმართველობა, ისეთი, როგორიც დიდი ნიკო ნიკოლაძის დროს იყო

## ფოთის მერობის კანდიდატები: პარტია „ქართული ოცნება“- ბექა ვაჭარაძე, პარტია „საქართველოსთვის“- გიორგი აბსარიძე და პარტია „ნაციონალური მოძრაობა“ - გიგი უგულავა.



საქართველოს პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა ფოთელებს მერობის კანდიდატი - ბექა ვაჭარაძე წარუდგინა

**ირაკლი ღარიბაშვილი**: ერთ მხარესაა პატიოსნება, ღირსება და ერთგულება. მეორე მხარეს-კორუფცია და ღალატი.



პარტია "საქართველოსთვის" თავმჯდომარემ გიორგი გახარიამ, ფოთის მერობის კანდიდატად გიორგი აბსარიძე დაასახელა.

„ნაცმოძრაობამ" ფოთში მერობის კანდიდატად გიგი უგულავა წარადგინა. ესაა პარტია, რომლებმაც ფოთელებს მთავარი შემოსავლის წყარო, საზღვაო ნავსადგური გაუყიდა, რომლის სტრატეგიულ მნიშვნელობას შეგვახსენებენ და „წუხან" მისი სტატუსის დაკარგვის გამო



## სანამდე-ორად გაყოფილი, ყველა პარამეტრით დაპირისპირებული ქვეყანა?!...

## 30 წელი, სულ შეცდომებზე ვიარეთ, იქნებ, ახლა მაინც გავაკეთოთ სწორი არჩევანი

**ხელისუფლებაში უნდა მოვიდნენ ახალი, დემოკრატიული ძალები – პატრიოტები, პროფესიონალები**

,,ოცნებამ" 8 წლიანი მმართველობის პერიოდში ბევრი შეცდომა დაუშვა

ადამიანები სიღატაკის ზღვარზე ტოვებენ ქვეყანას, თუმცა, ეს, არ ნიშნავს ნეოფაშისტების - ,,ნაცების" დაბრუნებას, რასაც ქართველი ხალხი არ დაუშვებს, თანაც, ,,ნაციონალებისა" და ,,ოცნების" პარტიული დაპირისპირება და მტყუან-მართლის გარჩევა უნდა დამთავრდეს. უნდა ვიაროთ წინ!

*მიხეილ სააკაშვილი უკვე მერამდენედ, საარჩევნოდ აპირებს ჩამოსვლას, რითაც ,,ოცნებას" ამომრჩევლებს კიდევ უფრო მოუმატებს და ,,ნაცმოძრაობას" საბოლოოდ დაასრულებს.*



*,,ნაცმოძრაობა" და პოლიტიკური მეხსიერება*

***ნუთუ, ეს უბედურება მონატრა ქართველ ხალხს?***

*მე-3 გვ*

## მარიამობას გილოცავთ, ქვირფასო ფოთელებო!



ქართველი კაცისთვის ღვთისმშობლის დღესასწაული განსაკუთრებით გამორჩეულია.მისი ცხოვრების გზა ქრისტიანული რწმენითაა გაჯერებული, რაც ქართველობის იდენტურია და რამაც მოგვიყვანა აქამდე. ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას უამრავი სირთულეების დაძლევა უხდება და, გვჯერა, პანდემიასაც დაძლევს.,

ღვთისმშობლის კალთა ფარავდეს სრულიად საქართველოს.

მარიამობას გილლოცავთ, ძვირფასო ფოთელებო!

გიორგი გუდავაძე ,

საპატიო ფოთელთა (მოქალაქეთა) ასოციაციის თავმჯდომარე

*ნუგზარ ნადარაია*

*საქართველოს ჭყონდიდელ - ცოტნეიდელთა საზოგადოების თავმჯდომარე, ,,ფაზისის" საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი*

***ფაზისი- კოლხური ცივილიზაციის გვირგვინი...***



*მოხსენება წაკითხულ იქნა "ფაზისობის" სამეცნიერო კონფერენციაზე*

მე-5-გვ



**ქ. ფოთის მერია და საკრებულო იზიარებენ ზურაბ აბრალავას მწუხარებას, დის, ღვაწლმოსილი პედაგოგის, ქალბატონ**

დალი აბრალავას

**გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს**



**მუდამ თანამედროვე**

არისტოტელე თურმე... ქართველებისთვის წერდა!

მე-6-გვ

**როზლანდ (გურამ) მიხეილის -ძე ლაკიას მარადიულ არდავიწყებას!**



მე-7-გვ

# პრემიერ მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ფოთში ქართული ,,ოცნების" მერობის კანდიდატი ბექა ვაჭარაძე წარადგინა

## ბექა ვაჭარაძე - ჩემი მთავარი მამოძრავებელი ძალა ჩემს გუნდთან ერთად იქნება თითოეული ფოთელის საჭიროებაზე, მათ მოთხოვნებზე ზრუნვა



ჩემი მთავარი მამოძრავებელი ძალა ჩემს გუნდთან ერთად იქნება თითოეული ფოთელის საჭიროებაზე, მათ მოთხოვნებზე, იმ მთავარ გამოწვევებზე ზრუნვა, რომლებსაც თქვენ მიიჩნევთ პრიორიტეტად. ამაში თითოეული ფოთელის მხარდაჭერის იმედი მაქვს - განაცხადა „ქართული ოცნების“ ფოთის მერობის კანდიდატმა ბექა ვაჭარაძემ წარდგენაზე. როგორც მერობის კანდიდატმა აღნიშნა, ფოთს აქვს უნიკალური მდებარეობა და განაშენიანება, ძალიან მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსი, რაც გვაძლევს საშუალებას, თანაბრად გამოვიყენოთ პოტენციალი, როგორც მრეწველობის, ისე ტურისტული მიმართულებით.

„ფოთი არის ერთ-ერთი პირველი თვითმმართველი ქალაქი და მას აქვს უდიდესი და ძალიან მდიდარი წარსული და განვითარების პოტენციალი. აქ ვახსენეთ ნიკო ნიკოლაძის ღვაწლი, სხვანაირად არც შეიძლებოდა, მისმა უნიკალურმა მიდგომებმა, მისმა თანამედროვე რეფორმებმა ფოთს მისცა განსაკუთრებული შესაძლებლობები და ჩვენ ახლა გვჭირდება ახალი თანამედროვე წარმატებული ქალაქის მოდელი, რომელსაც ფოთელებთან ერთად განვახორციელებთ, ფოთელებთან,რომლებიც არიან განათლებული, მშრომელი და ამ ქვეყნის პატრიოტი ხალხი. სწორედ ამ ადამიანების დამსახურებაა, რომ დღეს ჩვენი ქალაქი არის ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი უმთავრესი გამწევი ძალა. აქ ითქვა კონკრეტული მაგალითები, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში ფოთი მივიწყებული ნამდვილად აღარ არის, კონკრეტული პროექტებია ამის მაგალითი, რომელიც განათლების სპორტის და სხვადასხვა ჩვენი ქალაქისთვის მნიშვნელოვანი და საჭირო მიმართულებებით ხორციელდება, რისთვისაც მადლობა მინდა ვუთხრა ცენტრალურ ხელისუფლებას, ჩვენ მაჟორიტარ დეპუტატს, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს“ - განაცხადა ბექა ვაჭარაძემ.

„რა თქმა უნდა, ამ წარმატებების კვალდაკვალ ჩვენ ძალიან კარგად ვხედავთ და ვაცნობიერებთ არსებულ პრობლემებს, როგორიც არის წყალარინების სისტემა, უკვე აღვნიშნეთ გზების რეაბილიტაციის საჭიროება. პარლამენტის თავმჯდომარემ აღნიშნა სანაპირო ზოლთან არსებული პრობლემები, რაც საჭიროებს გაგრძელებას და განვითარებას, ჩემს გუნდთან ერთად ვიღებ პასუხისმგებლობას, ეს პროექტები გავაგრძელოთ და განვახორციელოთ სწრაფად და ეფექტურად. ჩემი მთავარი მამოძრავებელი ძალა ჩემს გუნდთან ერთად იქნება თითოეული ფოთელის საჭიროებაზე, მათ მოთხოვნებზე ზრუნვა, ჩვენ გვაქვს უნიკალური განაშენიანება, უნიკალური მდებარეობა, ბუნებრივი რესურსი ძალიან მნიშვნელოვანი, რაც გვაძლევს საშუალებას, თანაბრად გამოვიყენოთ როგორც მრეწველობის, ისე ტურისტული მიმართულებით ჩვენი პოტენციალი, საჭირო არის ბიზნესისთვის შევქნათ ხელსაყრელი გარემო, ინვესტორებს შევუქმნათ საინტერესო პირობები, რაშიც დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ ცენტრალური ხელისუფლება დაგვეხმარება“ - განაცხადა ბექა ვაჭარაძემ-მერობის კანდიდატმა საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები წარადგინა. ესენი არიან: **ირაკლი ხახუბია, თორნიკე კირთაძე, უჩა დოლიძე, ნიკოლოზ იზორია, სანდრო ქუშაშვილი, ოლეგ ნაჭყებია, სამსონ კუტალია, მალხაზ ფორჩხუა.**



### საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ფოთელებს შეხვდა და პრობლემებზე ესაუბრა

ჩვენი მიზანია ქართული თევზჭერა სრულად ქართული ფლოტით ხორციელდებოდეს და თანამედროვე თევზსაჭერი ბაზა გახდეს მათ შორის ფოთის ეკონომიკური განვითარების რეალური ხელშემწყობი, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მეთევზეებთან და თევზჭერის ლიცენზიის მფლობელებთან შეხვედრაზე განაცხადა, სადაც პარლამენტის თავმჯდომარე კახა კუჭავასთან, ვიცე-პრემიერთან, გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის მინისტრ ლევან დავითაშვილთან, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრ ნათია თურნავასთან, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრ ირაკლი ქარსელაძესთან და ფოთის,ხობის და სენაკის მაჟორიტარ დეპუტატ ირაკლი ხახუბიასთან ერთად იმყოფებოდა.

მთავრობის მეთაურმა მეთევზეებისგან და თევზჭერის ლიცენზიის მფლობელებისგან მათი საჭიროებების შესახებ ინფორმაცია მოისმინა. მთავრობის მეთაურის თქმით, ქართული თევზსაჭერი ფლოტის განახლება “ქართული ოცნების” ხელისუფლებაში ყოფნის დროს დაიწყო და აქტიურად გრძელდება. პროგრამა ქართველ ადგილობრივ მეთევზეებს თანამედროვე სტანდარტის თევზსაჭერი გემების შეძენაში ეხმარება. დღეის მდგომარეობით სულ დაფინანსებულია 13 გემი. აღნიშნული ინვესტიციით 222 სამუშაო ადგილია შექმნილი, ჯამური ინვესტიცია კი 47 586 472 ლარს შეადგენს.

როგორც მეთევზეებმა შეხვედრისას აღნიშნეს, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში დარგი სახელმწიფოსგან ასეთ მასშტაბურ მხარდაჭერას პირველად იღებს.

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, თევზჭერის დარგის განვითარებას სახელმწიფო მომავალშიც შეუწყობს ხელს, რამდენადაც ის უმნიშვნელოვანესია როგორც ფოთისთვის, ისე - რეგიონისა და ქვეყნისთვის.

მეთევზეებმა პრემიერ-მინისტრს მხარდამჭერი პროგრამებისთვის მადლობა გადაუხადეს და განაცხადეს, რომ არსებული გემებით თევზჭერის კვოტის სრულად ათვისება ვერ ხერხდებოდა და ქართველი ლიცენზიანტები იძულებულნი იყვნენ, უცხო ქვეყნის კუთვნილი ნაქირავები გემებით ემუშავათ.

თევზმჭერი ფლოტის განახლება, ახალი სამუშაო ადგილების შექმნასთან ერთად, ხელს შეუწყობს დარგში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას, თევზჭერის პროდუქტების ასორტიმენტისა და გაყიდვების გეოგრაფიის ზრდას. პროექტის ფარგლებში გაცემული სესხის მოცულობამ 46,4 მილიონი ლარი შეადგინა, ხოლო ჯამური ინვესტიციის რაოდენობა - 47,5 მილიონ ლარს აჭარბებს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ფოთის სანაპირო ბაზასთან მცხოვრებ აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობას შეხვდა და მათი პრობლემები მოისმინა.



აფხაზეთიდან დევნილმა მოქალაქეებმა, რომლებიც ფოთის სანაპირო დაცვის ბაზასთან ცხოვრობენ, პრემიერ-მინისტრთან შეხვედრაზე აღნიშნეს, რომ სანაპირო დაცვის ბაზასთან ახლოს ცხოვრება ჯანმრთელობისთვის მიზანშეწონილი არ არის და სურთ, რომ სახელმწიფომ ალტერნატიული საცხოვრებლით უზრუნველყოს. მთავრობის მეთაურმა მათ პრობლემის უმოკლეს ვადაში გადაჭრის პირობა მისცა.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ნათია თურნავას თქმით, სანაპირო დაცვის ბაზასთან ახლოს 100-მდე ოჯახი ცხოვრობს და პრემიერ-მინისტრის დავალების შესაბამისად, უმოკლეს ვადაში უზრუნველყოფენ უსაფრთხო ადგილზე საცხოვრებელი სახლებით.

# ფოთში 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგეს



ადმინისტრაციულ შენობებზე დაშვებულია სახელმწიფო დროშები.

ხსოვნის მემორიალი ყვავილებით შეამკეს ქალაქ ფოთის მერის მოადგილეებმა-მამუკა პაპასკირმა და ზაქარია გრიტიშვილმა,საკრებულოს თავმჯდომარე ბექა ვაჭარაძემ, საკრებულოს წევრებმა და აგვისტოს ომში დაღუპული ფოთელების ოჯახის წევრებმა.

ფოთის საკათედრო ტაძარში კი აგვისტოს ომში დაღუპულთა სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი აღევლინა.

8 აგვისტოს მოვლენებმა ფოთის 11 მოქალაქის სიცოცხლე იმსხვერპლა. დაშავდა 80-მდე ადამიანი.

ფოთის მუნიციპალიტეტის მერიამ, სოციალური პროგრამის ფარგლებში, 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულთა ოჯახებს 500-500 ლარი გადასცა.

# მუნიციპალური ტრანსპორტის განრიგს 3 მარშრუტი დაემატა

## ავტობუსები მატარებელს დახვდება



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის გოჩა კურდღელიას გადაწყვეტილებით, მუნიციპალური ტრანსპორტის განრიგს 3 მარშრუტი დაემატა. დამატებითი რეისები რკინიგზის სადგურიდან ცენტრის, ნაბადისა და მალთაყვის მიმართულებით შესრულდება.

მუნიციპალური ტრანსპორტის ახალი განრიგი, მოსახლეობის მომართვის საფუძველზე, მატარებლის მოძრაობის გრაფიკის შესაბამისად დაწესდა. 23:20 წუთზე, ქალაქში ჩამოსულ მგზავრებს ტრანსპორტი რკინიგზის სადგურში დახვდება.

## მიხეილ სააკაშვილი უკვე მერამდენედ, საარჩევნოდ აპირებს ჩამოსვლას, რითაც ,,ოცნებას" ამომრჩევლებს კიდევ უფრო მოუმატებს და ,,ნაცმოძრაობას" საბოლოოდ დაასრულებს.

გაყიდული ქვეყანა და ნეოფაშიზმი დემოკრატიის სახელით!

,,ნაცმოძრაობა" და პოლიტიკური მეხსიერება

**ნუთუ, ეს უბედურება მოენატრა ქართველ ხალხს?**

ვინც "ნაცებს" ირჩევს, ის ირჩევს ერის განადგურებას, ტირანიის გაძლიერებას.

## მიხეილ სააკაშვილს დაჭერის მაგივრად ისევ აღზევებენ, ამიტომ, მისი, ანუ ნეოფაშიზმის ნარჩენები უნდა გავისტუმროთ საქართველოს პოლიტიკური არენიდან

,,ნაცმოძრაობამ", ანუ სააკაშვილის ბანდის მოძრაობამ (რა შუაშია ნაცია, ხალხი აქ, შირმა, ნიღაბი) ქვეყანა გააუბედურა, დააქცია და ეს ნგრევა დღესაც გრძელდება, ღია თუ ფარული მხარდამჭერები შინ და გარეთ საკმაოდ ყავს, ეს ვერ გაითვალისწინა ივანიშვილმა, ვერც ის გათვალა, რომ ბევრი შინ



და გარეთაც ,,ნაცებს" არ ჩამორჩება ნგრევაში, ასე რომ, ამათ ხელში კიდევ კარგად ვართ გადარჩენილი, თუ კიდევ რამე უბედურება არ დაგვატეხეს თავს. რამდენადაც ხალხი ამათი ამრჩევი არაა, რამეთუ არ შეიძლება ამ უბინძურესი წარსულის დავიწყება.

,,ოცნების" შეცდომა იყო ამ რეჟიმის არგასამართლება, შემდგომში მისმა შეცდომებმა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია და ,,ნაცებს" ლანძღვა-გინების საბაბი მისცა, ხალხი ორივეს გასცემს პასუხს, თუმცა ,,ნაცებს არ დააბრუნებს ხელისუფლებაში. ახლა მოუხმოთ პოლიტიკურ მეხსიერებას, რა უბედურება დაატეხა თავს ქვეყანას სააკაშვილის რეჟიმმა, სახელმწიფო, იგივე ხალხის ქონება გადაინაწილეს, ქვეყნის ეკონომიკა მათზე მუშაობდა, ბიზნესის რეკეტი, დაჭერები, ლამის ნახევარი საქართველო ციხეში ჩასვეს, კაცები გააუპატიურეს, მთელ ქვეყანას ღირსება აყარეს, ათასობით კაცი, განსაკუთრებით ქალები, დედები საზღვარგარეთ გადაიხვეწა, დაინგრა ოჯახები, ისედაც გადაშენების გზაზე მყოფ ერს ნულოვანი ტოლერანტობით ასობით ახალგაზრდები ჩაუხოცა, შემდეგ ათასობით ნაწამები ადამიანები და ამათზე გადაღებული ფირები, ფარული ჩანაწერები,



შეტევა მართლმადიდებლობაზე, ეკლესიაზე, რწმენაზე, ზნეობაზე, გარყვნილების პროპაგანდა, რუსეთთან ვითომ პატრიოტიზმის ეგიდით წამოწყებული ომი და დაკარგული ტერიტორიები. გაიყიდა ქვეყანა, სამაგიეროდ მილიონები მიიღეს რუსეთის გამოაშკარავებისათვის, არადა, რუსეთს მიჰყიდეს სტრატეგიული ობიექტები. რუსეთის ამბიციები ისედაც იცის მსოფლიომ, რაღა ომი უნდოდა. სომხები, აზერბაიჯანლები, ყაზახები, უზბეკები, და ა.შ. თავს უფრთხილდებიან, პატრიოტიზმით არ ვაჭრობენ, არ თამაშობენ, ქვეყანას არ ანგრევენ, არადა, რაც ,,ნაცებმა" 9 წელი ქვეყანას უყვეს, როგორ გინდა დაიჯერო, რომ ამათ NATO-თი ქვეყნის გადარჩენა უნდოდათ, რაც მათ ხალხს უყვეს ჰიტლერსაც არ მოსვლია აზრად. იყო სისტემური დანაშაულის კასკადი და უზნეოთა ზეიმი, დაშინებული, ღირსებააყრილი ხალხი, გირგვლიანები (დედაც გადაყვა) ვაზაგაშვილები, (მამაც მოკლეს). ციხეში ახალგაზრდების ჩახოცვა. ნაწამები, პატრიოტი კაცი სულხან მოლაშვილი, პოლკოვნიკი თეთრაძე და 2007 წლის 7 ნოემბერს ნაცემი ხალხი, 2011 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღესასწაულზე ჩახოცილები, კიდევ რამდენი რამ ჩამოვთვალოთ ამ ტირანთა-მანიაკთა, სადისტთა და შიზოფრენიკთა ,,მოღვაწეობიდან". ყოველივე ამას დიდად არ შეუწუხებია დემოკრატიული ევროპა და მთავარი მეპატრონე და გზამკვლევი - ამერიკელები, ადამიანის უფლებათა დამცველები. არადა, სამ მილიონიან საქართველოში 300 ათასი კაცი გაასამართლეს, ნუთუ, ყველა



ქვეყნის მტერი და დამნაშავე იყო. ამ ხელისუფლებასთან შედარებით ხომ ყველა ანგელოზი იყო.

ნუთუ, საბოლოოდ ხალხმა არ უნდა გამოუტანოს განაჩენი და დიდი სასამართლო არ უნდა მოუწყოს ამ კაციჭამიებს, სადისტებს, მკვლელებს.

ეს არჩევნები კი არა, პოლიტიკური განაჩენი უნდა იყოს, რადგან ხელისუფლებამ ვერ მოახერხა სამართლიანობის აღდგენა და არც მისცემენ ამის საშუალებას, არადა, ,,მოძმეთ სისხლი ცაში ღმერთს შეჰღაღადებს და სამართალს ითხოვს"-ვინც ისევ ნეოფაშისტებს აძლევს ხმას, ხმას აძლევს ერის განადგურებას, ტირანიის გაგრძელებას, ამას ქართველი ხალხი არ დაუშვებს და თუ დაუშვა ის ფიზიკურად, სულიერად, ზნეობრივად განადგურდება.

გაიხსენეთ სისხლიანი წლები და თუ ამის შემდეგ ნაციონალებს ახალ პარტიებად რომ გაიშალნენ აირჩევთ, მხარს უჭერთ საქართველოს მტრებს, მკვლელებს და არც კაცი და არც ღმერთი ამ ცოდვას არ გაპატიებთ.

აი, რისთვის უნდა გასამართლდეს სააკაშვილი და არა რაღაც კოსტუმებისთვის. ის რომ სააკაშვილის ნეოფაშისტური რეჟიმი არ გასამართლდა, ცუდად დაუბრუნდა ქვეყანას და არავინ იცის წინ რა პრობლემები გველის. პარტია, რომელმაც ნეოფაშისტები ჩამოაგდო უნდა გაძლიერდეს და უნდა გაემიჯნოს ყოველგვარ კოჰაბიტაციას. არ უნდა მოდუნდეს, თორემ ლამისაა უარესი გინება დაიმსახუროს ამ ვითომ ოპოზიციისაგან, რომელიც ყველა ხერხით თავის გადარჩენაზე ფიქრობს. ,,ოცნებას" მეტი ფხა უნდა გამოეჩინა და თვითკმაყოფილებას არ უნდა მისცემოდა, ასე 30 წელია თავზე დაგვექცა ქვეყანა. სულ შეცდომებით ვიარეთ, დემოკრატია ბიზნესად არ უნდა ვაქციოთ, ხალხი ერთ დღეს გამოფხიზლდება და დაიქუხებს. მხოლოდ ის, რომ მშვიდობაა და ადამინებს ძველებურად ნაციონალებივით არ ექცევიან ეს არ კმარა; სოციალურად მძიმე ვითარებაა, რა დროს პრემიებია, რა დროს სოციალური დანამატების მოხსნაა, ერთპარტიულობაც უნდა დამთავრდეს, ეს ქვეყანა ყველას საზრუნავია. თუ ქვეყანას ეშველება, მტერიც უნდა გამოიყენო, დრო უნდა შეარჩიო. სააკაშვილისთვის იმიტომ არაა მტერი რუსეთი, რომ საქართველოს მტერია, ამით სპეკულირებს, ფულს იღებს ამერიკელებისაგან, ომითაც ისევ რუსეთის საქმეს აკეთებს. ჩააბარა ლამის ნახევარი საქართველო, ახლა კი წამებულის მანტიას ირგებს და ვინ იცის რამდენ თავისტკივილს გაგვიჩენს.

უკრაინელები ცდილობენ აქეთ გადმოისროლონ ახალი ჩეგევარა! ჩვენ კი აქ ერთმანეთს ვებრძვით ძალაუფლებისთვის. რუსეთსა და ამერიკას თავისი ინტერესები აქვს, შენ შენს ქვეყანას უნდა მიხედო და თავზე არც ერთი და არც მეორე არ უნდა დაისვა, მერე რა რომ გემხრობიან, რის ფასად-თუ სახელმწიფო არ შედგა, და საქმე არ გამოგივიდა, რად გინდათ ასეთი დახმარება. ხალხი გარბის, რა მნიშვნელობა აქვს ტერიტორიებს ომით წაგართმევენ თუ უომრად დაგატოვებიებენ.

ფრთხილად ქართველებო! მიხედეთ ქვეყანას. ერთი აზრით, ერთი მიზნით მივაღწიოთ და აღვასრულოთ საქართველოს სულიერი მისია.

ვიდრე ქვეყანა არ შეაფასებს 1990-1991 წლების მოვლენებს, სანამ არ გავასამართლებთ სააკაშვილის ბანდას არაფერი გვეშველება.

,,ღმერთო ქართველებს შეაყვარე ერთმანეთი".

ღმერთო ქართველებს შეაყვარე საქართველო.

## ფოთელები ბრალს დებენ

### ის, რაც არ წაიშლება მეხსიერებიდან, რეჟიმის კვალი დიდხანს გაყვება ჩვენს ცხოვრებას



სააკაშვილის ,,ხელისუფლებამ," გაგვიყიდა პორტი ფოთელებს, მთავარი შემოსავლის წყარო და ტერმინალად აქცია საქართველოს საზღვაო კარიბჭე, საჩუქრად მიაყოლა 300 ჰექტარი ზღვისპირა მიწა, რომელიც ქალაქს ეკუთვნოდა და რომლის ღირებულება ასეულმილიონებს შეადგენს.

გააუქმა წისქვილ ქარხანა, რომელიც ერთადერთი იყო დასავლეთ საქართველოში და მაღალი ხარისხის პროდუქციას უშვებდა.

ასევე გააუქმა საზღვაო ვაგზალი, ერთ-ერთი ულამაზესი ზღვისპირა კერა გართობისა და დასვენებისათვის. ლარებში გაიყოდა სტრატეგიული ობიექტები.

მოიშალა წამყვანი დარგები.




გააუქმა ბევრი საწარმო. ყველა ბიზნესმენი დაიჭირეს და ათასობით გამოსასყიდი თანხით სამუდამო ვალში ჩატოვეს.

მოშალეს მორალური ატმოსფერო, სიღარიბე, შიში, ტერორი გახდა მართვის მეთოდი.

არცერთი ფოთელი თანამდებობას არ გააკარეს.

მოშალეს ინფრასტრუქტურა, ქალაქი დაამგვანეს სოფელს.

რატომ? რატომ? რატომ?



**ამის შემდეგ ისევ მისცემთ ხმას უმიზოდ დარჩენილ ნაცბანდას, ისევ რომ მისი დაბრუნების მოლოდინში არიან?**

# 12 აგვისტო: აღმოსავლეთში ,,დიდგორობა" - დასავლეთში -,,ცოტნეობა"- საერო-საეკლესიო დღესასწაულები აღინიშნა



12 აგვისტოს, ცოტნეობის დღესასწაულზე, ყოველ წელს ,,ფაზისის" საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტის ბატონ ნუგზარ ნადარაიას ხელმძღვანელობით გვირგვინით ვამკობდით მისივე ინიციატივით სამეგრელოს მოედანზე აგებულ რეზო ამაშუკელის ცოტნე დადიანის უკვდავ ძეგლს-საქართველოს თავისუფლებისა და ერთიანობისათვის ბრძოლის სიმბოლოს, სანთლებს ვუნთებდით, მისივე ინიციატივით ზნეობრივ გმირს, ფოთის საკათედრო ტაძარში.

როგორ გვაკლია დღეს ბატონ ნუგზარ ნადარაიას გამხნევება. მას არცს ;პანდემია, არც უამინდობა ვერ ეაჩერებდა და ცოტნეობის დღესასწაულს ღირსეულად შევხვდებოდით.

აღარ არის ჩვენს გვერდით დიდი კაცი-სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც დღედაღამ სამშობლოს კეთილდღეობაზე ფიქრობდა.

დიდგორობა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის უპირველესი დღესასწაული უნდა იყოს. ჩვენ კიდევ სხვათაშორის ავღნიშნავთ, რათა თურქებს არ ვაწყენინოთ. ჩვენა ვართ აფხაზეთ-სამაჩაბლოს დამბრუნებლები?...

დიდგორობა — სახალხო დღესასწაული, რომელიც ტარდება 12 აგვისტოს, 1121 წელს მომხდარ დიდგორის ბრძოლაში ქართველთა გამარჯვების აღსანიშნავად. ასეთი ერთიანობა სჭირდება ქვეყანს, კიდევ ერთი დიდგორი საქართველო!



ერთი წელი გარდაცვალებიდან

## ნუგზარ ნადარაიას ხსოვნას

1 წელი სრულდება, 2021 წლის პირველ სექტემბერს, ფაზისის ეროვნული, აკადემიის პრეზიდენტის, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწისა, დიდებული მამულიშვილის ნუგზარ ნადარაიას გარდაცვალებიდან.

გარდაცვლილთა ხსოვნა, ცოცხალთა მოვალეობაა უამრავ მოვალეობათა შორის, ალბათ ერთ-ერთი ყველაზე აუცილებელი და ადამიანური, ამასთანავე მთელი სიცხადითა და სიჯიუტით მოითხოვს პასუხს, ძველის ძველი კითხვა: რა განაპირობებს პიროვნების უკვდავებას, რა თვისებები, რა წახნაგები დაჰყოლია მის ხასიათს იმგვარი, რაც გამუდმებით გვაიძულებს მზერა არ მოვაცილოთ, სულ თვალწინ გვყავდეს, გვიყვარდეს როგორც სულიერი ნათესავი და მახლობელი,

პიროვნება როგორც ადიდებული მდინარე, ტოვებს თავის განკუთვნილ საზღვრებს, გადმოდის კალაპოტიდან, გვაიძულებს იქეთ მიხედვას, გვაიძულებს შენც მისი თვალებით შეხედო ამ საოცარი მრავალფეროვნებით სავსე სამყაროს, გვაიძულებს თავისი ტკივილის, ჟინის, სიხარულისა და მწუხარების მოზიარედ გვაქციოს.

ნუგზარ ნადარაია, ერთ-ერთია იმ უახლოეს წინაპართაგან, ვისი სახელის ხსენებაც სიმაყისა და სინანულის გრძნობით გვავსებს, კაცი, რომელიც უანგაროდ თავკაცობდა ფაზისის ამ უძველეს აკადემიას, რომლის სხეულში ბობოქრობდა კოლხური სული, ქართული ტრადიციებით გაჯერებული: სიკეთე, სათნოება, გულუხვობა, ხალხის გასაჭირის გულთან ახლოს მიტანა, წითელი ზოლივით გასდევდა მთელი სიცოცხლე მის დაუღალავ შემოქმედებას.

90-იან წლებში ფოთში მისი მერობის დროს, როდესაც პედაგოგებს მაშინდელი ეგრეთწოდებული კუპონები პურის ფულადაც არ ჰყოფნიდათ, მთელი სიცხადით ედგა მხარში ფოთის პედაგოგიურ საზოგადოებას და არა მარტო პედაგოგებს, ყველა ფოთელს განურჩევლად საქმიანობისა და ეროვნებისა. უბრალოება, სხვისი ნიჭის დანახვის და დაფასების უნარი, იყო მისი ხასიათის მუდმივი თანამგზავრი და რაც მთავარია, ნიჭი სიყვარულისა რომელის დეფიციტია დღევანდელ საქართველოში.

ბატონი ნუგზარი საოცრად ჩვილი გულის პატრონი იყო, რამდენჯერ მინახავს ბავშვივით ატირებული "ჩემი საწყალი საქართველო" იტყოდა ხოლმე ცრემლნნარევი, მაგრამ უნუგეშო არასოდეს ყოფილა, ნათელი მომავლის ყოველთვის სჯეროდა, ცოტნეს ძეგლი ქეიფსა და დროსტარებაში არ დადგმულა, რამდენი დუშმანი და მოშურნე ეწინააღმდეგებოდა ამ ძეგლის დადგმას, რომელსაც ბოროტმა ადამიანებმა ჩამოგდებაც კი დაუპირეს და თუ იგი დღეს დგას და ამაყად გადაჰყურებს დედა რიონს ბატონი ნუგზარისა და ფოთელი მეგობრების დიდი დამსახურებაა.

ხობში დიდგორობა და ცოტნეობის დღესასწაული იყო მისთვის ერთ-ერთი გამორჩეულად ლამაზი დღე,მისი უშუალო ინიციატივით ფოთელებიც ვსტუმრობდით ამ ეროვნულ ზეიმს,ხობის დედათა მონასტერში ინთებოდა წმინდა სანთლები და ხობელებთან ერთად ვღაღადებდით: ,,ღმერთო სამშობლო მიცოცხლე". ეს იყო ზეიმი არა მარტო წარსულის მოგონებებისა და დაფასებისა, არამედ ერთურთის მოფერების,დაფასების და რაც მთავარია სიყვარულისა, რომელიც ასე ძალიან ჭირდება დღეს შეჭირვებულ საქართველოს.

ბატონი ნუგზარი საოცრად სათნო,კეთილშობილი და გულუხვი გახლდათ:მე, დღესაც სათუთად ვინახავ მის მიერ ნაჩუქარ წმინდა ხატებს, ბროლის პატარა ყანწს და ლამაზ საწერ კალამს,რითაც მლოცავდა და შემოქმედებით საქმიანობაში წარმატებებს მისურვებდა, მისთვის უცხო იყო ღალატი, მოშურნეობა,სიძულვილი, იყო ღვთის მოშიში და მოსიყვარულე,რომლის ყველა გზა ტაძართან მიდიოდა ,ამიტომ იყო პატრიარქთან უწმინდესსა და უნეტარესთან სულიერად ასე ახლოს, ამიტომ ჰქონდა ტრადიციიად დამკვიდრებული ფაზისის საერო -სამეცნიერო აკადემიის წევრთა შეხვედრა უწმინდესთან ყოველ 2-იანვარს ბედობის დღეს.(ეს ხომ მისი დაბადების და აღსაყდრების დღეა) შთამბეჭდავი იყო 2020 წლის 2-იანვარიც, მაგრამ ვაი,რომ ეს იყო უკანასკნელი შეხვედრა,უკანასკნელი იყო გაზეთ ,,ფაზისის ბოლო ნომერიც საერო-სამეცნიერო აკადემიის მიერ გამოცემული.ეს ბოლო ნომერი გაზეთისა სკოლაში წავიღე, ბავშვებს ვესაუბრე ფაზისის აკადემიის ისტორიულ წარსულზე, მის ამჟამინდელ პრეზიდენტის ნუგზარ ნადარაიას ღვაწლზე, შემდეგ დაბადების დღე მივულოცე(იმ დღეს მისი იუბილე იყო) ჩემს წინ მერხთან ცნობილი მსახიობის ოთარ გუნცაძის შვილიშვილი მეშვიდე კლასელი-ოთიკო გუნცაძე იჯდა,რომელსაც შევატყვე ძალიან უნდოდა მისთვის 75 წლის იუბილის მილოცვა. რა თქმა უნდა სურვილი შევუსრულე (ბატონი ნუგზარი ხომ დიდთან დიდი იყო და პატარასთან პატარა) მანაც გულით დალოცა ეს პატარა ბიჭი,რომელსაც ასე მიმართა:(მობილურში გარკვევით და ყველას გასაგონად ისმოდა მისი ხავერდოვანი ხმა) ჩვენო ღირსეულო მომავალო თაობავ,საქართველოს იმედო და უკვდავებავ, იღვაწეთ მამულის, ერის და დედაეკლესიის სადიდებლად,იღვაწეთ ჩვენზე უკეთესად ჩვენდა გასახარად, ამრავლეთ სიკეთე.,,ის ურჩევნია მამულსა, შვილი ,რომ ჯობდეს მამასა" იდგა მორიდებით ოთო გუნცაძე-ლოცავდა,მოძღვრავდა ამ პატარა ბიჭუნას-საქართველოს ხვალინდელ მომავალს და მასზე ბედნიერი იმ წუთებში არავინ იყო. როგორ უყვარდა ფოთი და ფოთელები.

ბატონო ნუგზარ,გვაპატიეთ ვერ მოგეფერეთ, ღირსეულად ვერ დაგაფასეთ შენ ,რომ გეკადრებოდა ისე. მთელი შენი სიცოცხლე აღელვებულ სტიქიონთან შებმას გავდა და უფალიც არჩევს ვაჟკაცებს ცათა სასუფეველში წასაყვანად. უნებურად ხალხური ლექსის სტრიქონები გამახსენდა:



,, ნეტა რა ზნე ჭირს სიკვდილსა,
ვერ მიხვდა ჩემი გონება,
შიგ ამოარჩევს ვაჟკაცსა,
რომელიც მოეწონება"

დასანანია შენზე წარსულში, რომ ვწერ, ნათელი არ მოკლებოდეს შენს ლამაზ სულს.

შენ პოეზიაზე უსაზღვროდ შეყვარებულს გიძღვნი ამ პატარა ლექსს,ვერ წარმოვიდგენდი შენი ხსოვნისადმი თუ მომიხდებოდა ლექსის მიძღვნა:

როგორ გტკიოდა შენი ფაზისი,
დაგქონდა გული ნაიარევი,
გულსაკლავია კოლხურ მიწაზე
ახლა რომ ვეღარ დაიარები.
ცოტნეს არწივი ლაჟვარდებს მოწყდა,
უნდა ნაღველი მკერდით გათელოს.
ტირის რიონი, ტირის არაგვი,
შენ რომ დააკლდი მთელ
საქართველოს.
შენ ახლა დგახარ კოხტაგორასთან,
გულს რომ გისერავს შორი
წარსული,
იტანჯებიან შენი მოყმენი,
მათ გვერდითა ხარ შენც
თაფლწასმული.
დგას ძეგლი ისევ კოლხურ მიწაზე,
მწუხარებისგან ფრთა მოწყდა
არწივს,
კვარცხლბეკზე რაში ვეღარ ჩერდება
დედ-მამის საფლავს ცრემლები
აწვიმს.
აკადემიას ვეღარ თავკაცობ,
ვეღარ იხილავ უძველეს ფერებს,
მაგრამ ჩვენს გულში ანთიხარ მარად,
დრო ამ სიყვარულს ვერ შეაჩერებს.

**ლუიზა ზაქარაია-ჩხეტია**

გამოსათხოვარი

## დალი აბრალავა

მიდიხარ, ტკბილი გქონდეს მგზავრობა



ლანჩხუთის რაიონის სოფელ აკეთიდან სამწუხარო ცნობა მოვიდა აბრალავების ოჯახში. გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პედაგოგი, მრავალი თაობის აღმზრდელი, კარგი ოჯახის დიდი ქალბატონი დალი შოთას ასული აბრალავა. ლანჩხუთის რაიონის ამ პატარა, ულამაზეს სოფელში ავტორიტეტის მოხვეჭა არც თუ ისე იოლი იყო. მას უდიდეს პატივს მიაგებდნენ არა მარტო ამ პატარა სოფელში. არამედ მთელს ლანჩხუთის რაიონში.

ბევრი ცრემლი დაიღვარა იმ დღეს განსვენებულის ცხედართან, ტირილის ხმა გაისმოდა მთელს სოფელში, ალალიც იყო მასზე, რამეთუ არა მარტო თავის ოჯახს დააკლდა იგი, არამედ მთელს რაიონს.

დალი აბრალავა დაიბადა 1951 წლის 28 აგვისტოს ფოთში, ცნობილი ჟურნალისტის, შოთა აბრალავას ოჯახში. სწავლა-განათლებაც აქვე მიიღო. წარჩინებით დაამთავრა საშუალო სკოლა, პედაგოგიური ინსტიტუტი და იმავე დღიდან დაიწყო მუშაობა რკინიგზის მე-16 საშუალო სკოლაში პედაგოგად, მალე დააწინაურეს ამავე სკოლის დირექტორის მოადგილედ ორგანიზაციულ დარგში. წლების განმავლობაში მუშაობდა მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის დირექტორად. მალევე მოიპოვა ავტორიტეტი, როგორც ბავშვებში, ისე მშობლებში. როგორც იტყვიან, სადაც არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენიო. მალე გაიცნო აკეთელი ახალგაზრდა, იური ქურიძე და მათი გზებიც შეერთდა. დალი გადავიდა საცხოვრებლად მეუღლის ოჯახში და მას შემდეგ არ მიუტოვებია, იგი. შრომობდა ოჯახში, ასწავლიდა სკოლაში,იყო მისი დირექტორი და ორ შვილს ზრდიდა. ორივე სასახელო გამოზარდა, ლექსო მშენებელ-ინჟინერია, ლელა-ექიმი, ამჟამად თბილისში ცხოვრობენ და საქმიანობენ. რძალი ანა 3 პატარას უზრდის დიდ ოჯახს, რაც ძალიან ახარებდა ქალბატონ დალის.

დალი აბრალავას უდიდესი სიყვარული გამოარჩევდა,გული ფოთისკენ,სახლისკენ მიუწევდა, სადაც ახლობლები, მეგობრები, ძმები ზურაბი და ენვერი ეგულებოდა. გადიოდა დღეები და ძმიშვილებით დახუნძლული ამაყობდა, თუმცა ენვერის უდროოდ გარდაცვალებამ დიდი ტკივილი მიაყენა მას.

ცხოვრება გრძელდება, ამის დასტურია საფლავზე შეკრებილი ოჯახის წევრები და ახლობლები.

ბოლომდე ვერ გაიხარე ცხოვრებით, კიდევ დიდხანს უნდა გეცოცხლა. 28 აგვისტოს, მარიამობას, 70 წელი შეგისრულდებოდა. მიდიხარ, არავის ვალი არ მიგყვება, პირიქით-ჩვენ ვართ ვალში.

განისვენე მშვიდად ჩვენო ლამაზო ქალბატონო, შენს ხსოვნას არ დაივიწყებს შენი შთამომავლობა,შენი აღზრდილები...

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული.

**ფოთელი ახლობლები, მეგობრები**

ვიზიარებ ინგა და ზურაბ აბრალავას მწუხარებას, ინგას მულისა და დის

**დალი აბრალავას**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს ვუცხადებ განსვენებულის ოჯახს

**ნანი მიმინოშვილი**

ნუგზარ ნადარაია
საქართველოს ჭყონდიდელ-ცოტნეიდელთა საზოგადოების თავმჯდომარე,
ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი

# ფაზისი – კოლხური ცივილიზაციის გვირგვინი...

## მოხსენება წაკითხულ იქნა "ფაზისობის" სამეცნიერო კონფერენციაზე

საუკუნეების მანძილზე, ისტორიული ფაქტებით დადგენილი ჭეშმარიტების, პოლიტიკური კონიუქტურის ზეგავლენით, სუბიექტივიზმისაგან დაცვა, ყოველ პატრიოტს ღირსებასა და სიამაყესთან ერთად, ქვეყნისა და ერის წინაშე განუზომელ პასუხისმგებლობას აკისრებს. იგი, პირველ რიგში, მომავალი თაობისადმი ჩვენს მზრუნველ გულშემატკივრობას შეეხება. რამეთუ ყოველი მომდევნო თაობა წინამორბედისაგან მემკვიდრეობით გადაიბარებს მამულის შემდგომი აღორძინება-აღმშენებლობის საზრუნავს. ამ თვალსაზრისით, თანამედროვენი, თუ რამეს ვერ შევმატებთ სამშობლოს, ის მაინც შევუნარჩუნოთ შთამომავლობას, რაც ჩვენმა წინამორბედებმა გადმოგვაბარეს. რამდენადაც, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის პარალელურად, სულიერებისა და განსაკუთრებით ზნეობის რეგრესის საუკენეში გვიხდება ცხოვრება. რაზედაც თავის ქადაგებებში გულისტკივილითა და ობიექტურობით მიუთითებს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II აღმაშენებელი. ჩვენი ამოცანაა, ღვთის ნებითა და მადლით, ობიექტურ ფაქტებზე (წყაროებზე) დაყრდნობით ისტორიული ჭეშმარიტების ძიება-დადგენა, მისი დაცვა და პროპაგანდა კი ფაზისის აკადემიის უპირველესი საზრუნავია. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი დღევანდელი სამეცნიერო კონფერენცია აღნიშნულის კონკრეტული გამოხატულება და დადასტურებაა. მივმართოთ ისტორიულ წყაროებსა და ფაქტებს, ისტორიის მსოფლიო მასშტაბის მკვლევართა ნააზრევსა, თუ ჩვენდამი ყურადსაღებ ნაანდერძებ – ჭეშმარიტებას, რომელშიაც ეჭვის შეტანა დიდი ცოდვაა და ამდენად დაუშვებელია.

ფაქტი 1. ცნობილ ბერძენ ისტორიკოსებს შორის მნიშვნელოვანია სტრაბონის „გეოგრაფია“, რომელიც 17 წიგნად არის შედგენილი: „სტრაბონის (I საუკუნე) დახასიათებით ფაზისი დიდი სავაჭრო ქალაქი იყო. აქ თავდებოდა საერთაშორისო სავაჭრო-სატრანზიტო გზა, რომელიც მოდიოდა ინდოეთიდან, ჩინეთიდან და რომელსაც კასპიის ზღვით, ალბანეთით და მდინარე მტკვრით, შემდგომ კი შორაპანზე გავლით, შავი ზღვის სანაპიროებისაკენ მიჰქონდა საქონელი“1. „ცნობილია, რომ მდინარე ფაზისი (რიონი) შორაპნამდე სანაოსნოდ გამოსადეგი იყო და მისი მეშვეობით ხორციელდებოდა სატრანზიტო საქონლის გადაზიდვა. რასაც ვერ გავიზიარებთ მდ. ჭოროხზე, მისი ჩქარი დინებისა და მაღალი მთებიდან ქვა-ღორღის შავ ზღვაში ჩამდინარების მიზეზით“. „ინდური საქონელი მდ. ამუდარიით ჩაჰქონდათ კასპიის ზღვაში და იქიდან მტკვრით ამოჰქონდათ აღმოსავლეთ საქართველოში, აქედან კი მდინარე მტკვარითა და ხმელეთით – სურამის უღელტეხილით ეზიდებოდნენ დასავლეთ საქართველოში, სადაც საქონელი მდინარე რიონით, შავი ზღვის სანაპირო ქალაქ ფაზისს, ანუ ფოთს აღწევდა, რომელიც იმ დროისთვის ფრიად მნიშვნელოვან ნავსადგურად იქცა. პონტოს ზღვაში შემავალ მდინარესა და ქალაქს, ორივეს ფაზისი ერქვა“2. მდინარის ზღვასთან შესართავთან მდებარეობდა ტბა (პალიასტომი). მდინარე რიონი, როგორც ცნობილია, სათავეს რაჭის მაღალმთიანეთში იღებს, იმ მთას, საიდანაც გამომდინარეობს მდინარის სათავე, წყარო-შენაკადი, დღესაც ფასის მთა ეწოდება, ხოლო თანამედროვე რაჭველები და სვანები დღესაც კოლხეთის მაღალმთიანეთის მკვიდრებად მიიჩნევენ ამ უმშვენიერეს მხარეებს. გამოჩენილი ბერძენი ფილოსოფოსი არისტოტელე მიანიშნებს ფაზისზე, სადაც პატარა ტანის, მაგრამ კარგად მეწველი და ადგილობრივ პირობებს შეგუებული ძროხები ჰყავთო (დღევანდელი კვარაცხელიას ცნობილი ჯიში). ძველი წელთაღრიცხვის მეხუთე საუკუნეში მოღვაწე არისტოფანე ახსენებს ულამაზეს ფრინველს ფასიანის, რომელიც ფაზისიდან პირველად ათენში ჩაუყვანიათ. ფრინველს ბუნებრივია, სახელი ქალაქ ფაზისის გამო შეარქვეს. ეს ფრინველია – ხოხობი, რომელიც დღესაც ბინადრობს ფოთში, ჭალადიდის დაბლობზე. დასახელებული ისტორიული ფაქტები ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის მიერ რეგიონებში გამსვლელი სესიების ჩატარებისას დღესაც დასტურდება. მხედველობაში გვაქვს აკადემიის რეგიონული განყოფილებების გამსვლელ სესიებზე წარმოდგენილი სამეცნიერო შრომები (მეცნიერ მკვლევარები: რეზო პაპუაშვილი, გოგიტა ჩიტაია, სილოვან გვასალია, მამა ავთანდილ გიორგობიანი და სხვები).

დიდი ივანე ჯავახიშვილი ნაშრომში – „მატერიალური კულტურის ისტორია“ (ტ. 1, გვ. 115), აკადემიკოსი სიმონ ყაუხჩიშვილი კი ნაშრომში „რას გვიამბობენ ძველი ბერძნები საქართველოს შესახებ“, აღნიშნავენ,



**ანტიკური ხანის მებრძოლთა ფიგურები. ვინ იცის, იქნებ კოლხეთის სამეფოს მეფე აიეტის მებრძოლები იყვნენ და არქეოლოგიურმა ექსპედიციებმა, ჩვენდა საყურადღებოდ, აღმოგვიჩინა გულშემატკივრული მოწოდებით - სწორება მათზე ამაღლებული სულიერებითა და ფიზიკური აღნაგობით (გენეტიკით).**

რომ ძველი კოლხები როგორც ჩანს საკმაოდ განვითარებულნი ყოფილან ტექნიკური სამშენებლო აზროვნების თვალსაზრისით. სტრაბონი დეტალურად აღწერს კოლხურ შენობებს კრამიტის ქანობიანი გადახურვით. ტყეების ჭარბად არსებობის საფუძველზე საძირკვლად იყენებდნენ დიდი ზომის ხის მორებს და კედლებსაც კრავდნენ და სანათურებიც ამ ხის ძელებით ამოჰყავდათ. შენობების სახურავი კი დაქანებული ქანობით ეწყობოდა, ჭარბი ნალექის სახურავიდან სწრაფად ჩამოსაღვრელად. ფაქტი დადასტურებულია ყულევის არქეოლოგიური გათხრების (ხელმძღვანელი პროფესორი რეზო პაპუაშვილი) შედეგად მოპოვებული ნივთმტკიცებებით, დაცულია იქვე ყულევის ისტორიულ – არქეოლოგიურ გამოფენა საცავში.

წერილობითი წყაროებით დადასტურებულია, აგრეთვე, ძველ ციხე-სიმაგრეებში სამსაფეხურიანი წყალსადენის, საყოფაცხოვრებო ნაგებობების არსებობა, რაც თვალნათლივ დასტურდება და დღესაც შემონახულია ნოქალაქევის (ციხე-გოჯის) არქეოლოგიური გათხრებისა და მეცნიერული შესწავლის შედეგად, რაზედაც ნათლად მიანიშნებს ქუჯი ეგრისელის მკვლევარი ლევან სანიკიძე წიგნში „საქართველოს სიძველე და სირცხვილი“, ასევე სამეცნიერო-არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი აკადემიკოსი პარმენ ზაქარაია წიგნში „საქართველოს ციხე-კოშკები“.

დასავლეთ საქართველოში ძველი წელთაღრიცხვის VII საუკუნეში ძლიერი კოლხეთის სახელმწიფოს არსებობას ადასტურებს „კოლხური თეთრი“, ვერცხლის მონეტის მოჭრა ხარის, შემდგომ ლომის გამოსახულებით. მონეტა დღესაც დაცულია თბილისის აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში. ამასთან, ბერძნულ წყაროებში არის ცნობები, აქ მდინარე რიონის (ფაზისის) აუზში ხიდების, დაბლობის მასივზე, განსაკუთრებით, ზღვისპირას იპოდრომებისა და თეატრონების მშენებლობის ტექნიკის შესახებ და მრავალი სხვა ნაგებობების არსებობის თაობაზე.

აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის აზრით ჩვენს წელთაღრიცხვამდე V საუკუნეში ფაზისში (ფოთში) დუღდა ცხოვრება, იგი კულტურულ-რელიგიურ, საგანმანათლებლო - ეკონომიკურ ცენტრს წარმოადგენდა, რაზედაც ნათლად მეტყველებს ცნობილი ბერძენი ვაჭრის თემის - დაგორის დიდი ხომალდით ჩამოსვლა კოლხებთან სავაჭროდ, აღებ-მიცემლობისა და ნატურით საქონლის გაცვლის ფორმით. საყურადღებოა ბერძნული წარწერა (დაცულია თბილისის სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში). ვერცხლის ფიალაზე „მე ვარ აპოლონ წინამძღვლისა, „ფაზისელისა“, რომლის ფსკერზე დახვეული გველია თავაწეულად გამოსახული. ვერცხლის ფიალა ეკუთვნის ფაზისში აგებული აპოლონის ტაძრის – ახალშენების მფარველ ღვთაებას. ბერძნული წყაროების მიხედვით დასავლეთ საქართველოს, როგორც ცნობილია, თავდაპირველად ერქვა აია, შემდგომ კი კოლხიდა, ლაზეთი, ეგრისი. ბერძნები, როგორც აღვნიშნეთ, ძველი წელთაღრიცხვის VII საუკუნეში ეწვივნენ ამ ქვეყანას საალებმიცემო ნიშნებით ვაჭრობისათვის. იმდროინდელი ბერძენი მოგზაურები და ლოგოგრაფოსები კამოს მილეთელი, ჰეკატე მილეთელი, სკილაკს კარიანოელი, აღწერენ ფაზისს (ფოთს), დიოსკურიას (სოხუმს), კავკასიის მთებს, მდინარე ფაზისს (რიონი), ჰოპოს (ცხენისწყალი). ახასიათებენ აქ მცხოვრებ ქართველურ ტომებს: კოლხებს, კორაქსებს, კოლებს, მოსხებს, მაკრონებს, მარებს, მოსინიკებს, ხალიბებს, ეხებიან ფლორისა და ფაუნის თავისებურებებს.

როგორც ცნობილია, კოლხური კულტურა ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულში იღებს სათავეს. სულმნათ კლიმენტი შელიას აზრით კი იგი 5 ათასი წლისაა... კოლხიდა კარგად იყო ცნობილი გარე სამყაროსთვის, განსაკუთრებით კი ბერძნებისთვის. იგი გამოირჩეოდა მაღალგანვითარებული ბრინჯაოს, რკინისა და ოქროს წარმოებით, მხატვრული ხელოსნობით, შემდგომში ხდება რკინის სამეურნეო და საბრძოლო იარაღების დამზადება. ყველასათვის კარგად არის ცნობილი კოლხური ცულები, თოხები, წალდები, ნამგლები, შუბები და სხვა ნაკეთობები და მათი იდენტური ყალიბები ვანის ნაქალაქარის, ცაიშის, ყულევის, გერგეტას, ჭალადიდის, სენაკის და მდ. რიონის აუზში მდებარე ტერიტორიებზე არქეოლოგიური ექსპედიციების შედეგად მოპოვებული ნივთმტკიცებებით, რომელიც იქვე მდებარე გამოფენებსა და მუზეუმებშია დაცული. დადასტურებულია ოქროს მოპოვებისა და გადადნობის დიდი მემკვიდრეობა – აფეთქებული „საყდრისი-ყაჩაღიანი“-ს საბადო.

ფაქტი 2. როგორც ცნობილია, ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში (ტ. 10. გვ. 555) აღნიშნულია, რომ „საქართველოს გაქრისტიანების ხელშემწყობ ფაქტორთა შორის არანაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა საქართველოს ქრისტიანულ გარემოსაც, როგორც მკვლევარი ბატონი კოტე სარაჯიშვილი აღნიშნავს, შავი ზღვის ქვეყნების ქრისტიანულ მრევლში ბერძნებთან ერთად ქართული მოსახლეობაც იგულისხმებოდა. ქართული წარმართული რელიგია უკვე აღარ შეესაბამებოდა საზოგადოების განვითარების ახალ ფეოდალურ გეზს. სოციალურ-ეკონომიკური წინსვლის ნიადაგზე ქართველთა შემდგომი კონსოლიდაცია საჭიროებდა იდეოლოგიის (რწმენის) მძლავრ საშუალებასა და გამომხატველობას, რომელიც გამოდგებოდა არსებული თემობრივი ურთიერთობების უფრო მტკიცედ შეკავშირებისა და სხვა ახალი მონათესავე თემების შემოსაერთებლად. ასეთი რელიგია და რწმენა კი მხოლოდ ქრისტიანობა იყო და არის საბედნიეროდ! მართლაც, ქრისტიანობა არა მხოლოდ პოლიტიკურად და ორგანიზაციულად განამტკიცებს ქვეყანას, არამედ კატალიზატორია ხალხებში კულტურისა და განათლების, ეროვნული მწერლობისა და მთარგმნელობის განვითარებისათვის. ქრისტიანობა ყველა სხვა რელიგიასთან შედარებით უფრო პროგრესულ და მეცნიერულად დასაბუთებულ, ფაქტობრივ მოძღვრებას წარმოადგენს“. „ქრისტიანობამ დადებითი გავლენა მოახდინა ქართველთა ზოგადი ფსიქოლოგიურ-ეროვნული ფენომენის თვისებების ფორმირებაზე. საერთო საეკლესიო ქართულმა ენამ, საერთო-საკულტო წეს-ჩვეულებებმა, კულტურითა და რწმენით შეაკავშირა ქვეყნის სხვადასხვა კუთხე. სამშობლოს ცნება სათემო-კუთხურ ფარგლებს გასცდა და უკვე გავრცელდა მთელ იმ ტერიტორიაზე, სადაც წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე ტარდებოდა“1.

„ბერძნული წყაროების მიხედვით შავი ზღვის სანაპიროზე არსებობდა: ბიჭვინთის, სებასტოპოლის (სოხუმის) და ლაზიკის (ფაზისის) ეპარქიები. მოგვიანებით მათ მიუღიათ ავტოკეფალიები. ლაზიკის ეპარქიებს სათავეში ედგა ფაზისის მიტროპოლიტი, რომელსაც ექვემდებარებოდა: როდოპოლისის, საისინთა, პეტრას და ზიგანევთა (გუდაყვა) ეპარქიები. სებასტოპოლის (სოხუმის) ეპარქია უფრო პატარა იყო და მას დაქვემდებარებული ეპისკოპოსები არ ჰყავდა. ფაზისის მიტროპოლიის ცენტრი იყო ქალაქ ფაზისში (ფოთში). აქ ჰქონდა თავისი ეპარქია ლაზიკის ეპარქიის მიტროპოლიტს. მას ექვემდებარებოდა ოთხი ეპისკოპოსი: როდოპოლისის (ვარციხის) ეპისკოპოსი, სავარაუდოდ, პირველმოსაყდრედ ითვლებოდა. პეტრა არის ლაზიკის ცნობილი ციხესიმაგრისა და ადმინისტრაციული ცენტრის პეტრას სახელი. მკვლევართა აზრით, საირინი არის დღევანდელ ცაიშში (ზუგდიდის რ-ი). კოლხეთის ეს ოთხივე სამიტროპოლიტო მეათე საუკუნემდე კონსტანტინეპ ოლის საპატრიარქოში შედიოდა. მეათე საუკუნის პირველ წლებში (901-907) ლაზეთის ეპარქია თავისი ოთხი საეპისკოპოსო კათედრით (როდოპოლისი, ცაიში, პეტრა ზიგანევი-გუდაყვა) არ ექვემდებარებოდა კონსტანტინეპოლის პარტიარქს. იგი მცხეთის საკათალიკოსოს დაუკავშირდა... არცერთ შემდგომ ნოტიციაში (Xმ, Xა, X, Xთ) რომელიც თარიღდება X საუკუნიდან, ძველი ეპარქია ლაზიკისა, რომლის მიტროპოლია ფაზისში (ფოთში) იყო, კონსტანტინეპოლის პატრიარქისადმი დაქვემდებარებულ საყდართა შორის არ ჩანს“2.

ფაქტი 3. ქრისტიანობა, როგორც ყველა სხვა სარწმუნოებასთან შედარებით პროგრესული და ფაქტობრივად რეალური, ღვთითკურთხეული მრწამსი, მეცნიერულ მონაცემებსა და საფუძვლებს დამკვიდრებული მოძღვრება, სწორედ ფაზისში (ფოთში), კულტურის, განათლების, სულიერებისა და ეკონომიკის აღორძინებულ შავიზღვისპირეთის ამ მნიშვნელოვან ცენტრში, გზას უკვალავდა კოლხეთის (ფაზისის) აკადემიის დაარსებასა და საუკუნეების მანძილზე (III-XIII ს.ს). მის წარმატებულ ფუნქციონირებას, სადაც ღებულობდნენ აღზრდასა და განათლებას ქრისტიანობისა და სახელმწიფოებრიობის თვალსაჩინო მოღვაწეები. აღნიშნულის უტყუარი დადასტურებაა ბიზანტიელი ორატორისა და ფილოსოფოსის თემისტიოსის (317-388 წწ) ცნობა ფაზისში (ფოთში) უმაღლესი სკოლის არსებობის შესახებ. დიდი ივანე ჯავახიშვილი ბიზანტიოლოგის ლატიშევისეულ ნაშრომზე დაყრდნობით წერს: „ელინური სწავლა-განათლებისთვის ნაყოფიერი ნიადაგი აღმოჩნდა კოლხეთში და ქვეყანა ელინური კულტურისა და „მუზათა სადგურად უქცევიათ“. კოლხებს იმ დროისათვის სადღესასწაულო ყრილობებშიც კი უსახელებიათ თავი რიტორიკითა და მჭერმეტყველებით“3. ასევე ცნობილია თემისტიოსის რჩევა სწავლის მოსურნე ახალგაზრდისადმი, რომელიც თხოვდა მას დახმარებოდა ათენში ან კონსტანტინოპოლში უმაღლესი განათლების მიღებაში. (თემისტეს 27-ე სიტყვა) - მე თავად უმაღლესი განათლება მივიღე არა ათენში და კონსტანტინეპოლში, არამედ ფაზისში. ამდენად კოლხეთის (ფაზისის) აკადემია ბიზანტიის ანალოგიურ სასწავლებლებთან შედარებით ყველაზე დაწინაურებული გახლდათ იმ დროისათვის (III-VIII სს).

გაგრძელება მე-6 გვ



# მუდამ თანამედროვე არისტოტელე თურმე... ქართველებისთვის წერდა!

*ფრაგმენტები არისტოტელეს გენიალური თხზულებიდან ,,პოლიტიკა, რომლის თარგმანს, ძვ. ბერძნულიდან, შესრულებულს პროფესორ თამარ კუკავას მიერ, უახლოეს ხანებში მიიღებს საზოგადოება.*

სახელმწიფო არის გვარებისა და სოფლების კავშირი, შექმნილი სრულყოფილი და დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის. ასეთი ცხოვრება, ჩვენის აზრით, არის ბედნიერი და მშვენიერი ცხოვრება. სახეკმწიფო არსებობს მშვენიერი ცხოვრებისათვის და არა ადამიანთა თანაცხოვრებისათვის.

***

ყოველი სახელმწიფო ერთდგვარ კავშირს წარმოადგენს. ყოველი კავშირი კი რაიმე სიკეთეს ისახავს მიზნად და ყველაფერს აკეთებს იმისატვის, რაც სიკეთე ჰგონია. უმთევრესი სიკეთისაკენ მიისწრაფის ყველაზე უკეთესი კავშირი, რომელიც მოიცავს ყოველივეს, ეს არის სახელმწიფო და სახელმწიფოებრივი კავშირი.

## დადებითი სახელმწიფოებრივი მმართველობა:

ვისაც სურს კარგად მოაწყოს სახელმწიფო, მან უნდა გაანთავისუფლოს მოქალაქენი ყოველდღიურ საარსებო საშუალებბზე ზრუნვისაგან.

***

ის სახელმწიფოები,რომლებიც მიზნად ისახავენ საზოგადოების სარგებლობას... სწორ სახელმწიფოებრივ ფორმებს წარმოადგენენ. ის სახლმწიფოები, რომლებიც მხოლოდ ხელმძღვანელი პირების სარგებლობას ემსახურებიან, წარმოადგენენ არასწორ სახელმწიფოებრივ ფორმებსა და სწორი სახელმწიფოებრივი წყობიდან გადახრას.

***

ცხადია, რომ ზნეობაზე იზრუნებს ის სახელმწიფო, რომელიც ჭეშმარიტი სახელმწიფოა და არა მხოლოდ ფორმით არის სხელმწიფო.

***

საუკეთესოა ის სახელმწიფო, რომელსაც ხელმძღვანელობენ საუკეთესო ადამინები, რომელშიც პირველ რიგში პატივს სცემენ ზნეობრივ ადამიანებს და საზომია ზნეობა, ოლიგარქიაში საზომია სიმდიდრე, დემოკრატიაში-თავისუფლება.

***

ზნეობაზე ზრუნავენ იმ სახელმწიფოში სადაც მეტი აქვთ თავისუფალი დრო და არის კეთილდღეობა.

***

ცხადია, საუკეთესოა ის სახელმწიფო, სადაც ყოველ ადამიანს შ უძლია წარმატებით მოქმედება და ბედნიერად ცხოვრება.

***

***საუკეთესოა ის სახელმწიფო, სადაც ადამიანები ბედნიერები არიან.***

## ცუდი სახელმწიფო:

ტირანია (იგივე დიქტატურა,-თ.კ.)არის მონარქია, რომელიც ემსახურება მხოლოდ ხელმძღვანელის სარგებლობას.

***

შეუძლებელია კარგი კანონები ქონდეს იმ სახელმწიფოს, რომელსაც ხელმძღვანელობენ არა კარგი, არამედ ცუდი ადამიანები.

## სახელმწიფოს ხელმძღვანელი:

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ სახელმწიფოს ხელმძღვანელი უნდა იყოს ზნობივი და გონიერი ადამიანი.

***

***სახელმწიფოს ხელმძღვანელი უნდა იყოს ყველაზე პატიოსანი და კარგი ადამიანი.***

***

ვისაც შეუძლია მოვლენების განჭვრეტა, ის თავისი ბუნებით ხელმძღვანელი ადაიანია, ხოლო ვინც ყველაფერს განახორციელებს ფზიკური ძალებით, ის არის ბუნებით ქვეშევრდომი და მონური ბუნების მქონე.

***

***თუ ხელმძღვანელი არაა გონიერი დასამართლიანი, როგორ შესძლებს ის კარგად ხელმძღვანელობას?***

***

სახელმწიფოს ხელმძღვანელს უწოდებენ კაცს, რომელსაც აქვს რჩევის მიცემის, მსჯელობის და განსაკუთრებით მოწესრიგების უნარი.

***

ჩვენ ვიცით, რომ სახელმწიფოს ზოგიერთ ხელმძღვანელს თანამდებობა მოპოვებული აქვს უსამართლო გზით, ჩვენ კი მას სახელმწიფოს ხელმძღვანელს ვუწოდებთ, რაც არაა სწორი.

## ჭეშმარიტი სახელმწიფო დამოუკიდებელი უნდა იყოს:

სახელმწიფო არსებობს მაშინ, როდესაც ის წარმოადგენს მასში გაერთიანებული ადამიანების დამოუკიდებელ ერთეულს.

## მოქალაქე:

*მოქალაქე ეწოდება იმას, ვისაც სახელმწიფოში ყველა უფლებები აქვს.*

***

საუკეთესო სახელმწიფოში მოქალაქეა ის, ვისაც აქვს უფლება თავისი სურვილის მიხედვით მონაწილეობდეს სახელმწიფოს მმართველობაშიცა და ქვეშევრდომიც იყოს ისეთი ცხოვრების მისაღწევად, რაც შეესაბამება მაღალ ზნეობას.

## ტირანი (დიქტატორი)

ტირანი, რადგან ძლიერია, ამიტომ ძალადობით მოქმედებს.

***

ტირანია არ არის ბუნებრივი მმართველობის ფორმა, არც ის სახელმწიფოებია ბუნებრივი ფორმა, რომლებიც წარმოადგენენ ზემოთ ნახსენები სწორი სახელმწიფოების დამახინჯებას. ისინი ბუნების საწინააღმდეგო წარმონაქმნები არიან.

***

ტირანები მოქალაქეებს მართავენ ანგარიშგების გარეშე, საკუთარი და არა დაქვემდებარებულთა ინტერესებისათვის, ამიტომ ეს არის ადამინთა მაცდურად მართვა, რასაც არცერთი თავისუფალი მოქალაქე არ დაემორჩილება.

***

ტირანები აღარიბებენ თავიანთ ქვეშევრდომებს, რათა ქვეშევრდომებმა, ყოველდღიური საქმებით, არ მოაწყონ შეთქმულება მათ წინააღმდეგ.

***

ტირანებს უყვართ ომების წარმოება, რათა ხალხს არ ჰქონდეს თავისუფალი დრო და განუწყვეტლივ სჭირდებოდეს ხელმძღვანელი.

***

ტირანებისაგან ისინი არიან პატივცემული, ვინც მათ წინაშე თავს იმცირებს, რაც მნიქვნელებს ახასიათებს. ამიტომ ტირანებს უყვართ უზნეობა და მოსწონთ მნიქვნელები, თავისუფალ და გონიერ ადამიანებს კი არ იკარებენ, რადგან ისინი პატიოსანნი არიან, და არა მნიქვნელნი..

***

ტირანებს არ უყვართ არც ამაღლებული და არც თავისუფალი აზრი, ამ თვისებების მქონედ ტუირანი მხოლოდ თავის თავს თვლის.სინამდვილეში, ვინც დამოუკიდებლად და თავისუფლად აზროვნებს, ის სპობს ტირანის უპირატესობას. ამის გამო ასეთნი სძულს ტირანებს, როგორც მათი ბატონობის წინააღმდეგნი. ამიტომ ტირანები უფრო უცხოელებს იყენებენ, ვიდრე საკუთარ მოქალაქეებს, რადგან ესენი მისი მტრები არიან, უცხოელები კი არა.

***

ტირანების ჩანაფიქრი შეიძლება დაგვეყვანა შემდეგ საფუძვლებზე: ,,რომ მოქალაქეებს არ ჰქონდეთ თავისუფალი დრო. რომ მათ ერთმანეთში არ ჰქონდეთ ურთიერთობა, ურთიერთნდობა და მოქმედების უნარი. და იყვნენ სულმდაბალნი".

***

სახელმწიფოთაგან ყველაზე ხანმოკლენი არიან ოლიგარქია და ტირანია.

## ვინ იცავს ტირანს:

ტირანები ხალხს სრულებით არ ენდობიან, ამიტომ ართმევენ იარაღს და სდევნიან.

***

მეფეები მართავენ სახელმწიფოს კანონითადა ქვეშევრდომთა ნება-სურვილით, ტირანები კი იძულებით. ამიტომ ტირანი თავის თავს იცავს მოქალაქეებისაგან, მეფეს კი მოქალაქენი იცავენ.

## ტირანები და გენიოსები:

ოსტრაკიზმის (გამოჩენილი ადამიანების მოსპობა) მიზანია ხელი შეუშალონ გამოჩენილი ადამიანების მოქმედებას.

***

გამოჩენილი ადამიანები ისე სჯობია სხვებს, რომ სხვები მათ ვერ სეედრებიან სათნოებით. ამიტომ უსამართლობას ჩაიდენენ ისინი, რომლებიც მათ სხვებს გაუტანასწორებენ, რომლებთანაც ისინი თანასწორნი არ არიან არც ზნეობით და არც პოლიტიკური მოღვაწეობის უნარით.

****

არ შეიძლება, რომ ასეთი უპირატესობის მქონე კაცი გადადგილებულ ან გაძევებულ იქნეს, მასზე არც მბრძანებლობა შეიძლება... არ შეიძლება ისეთი ადამიანის მოკვლა, ან მის წინააღმდეგ ოსტრაკიზმის გამოყენება, ან მისი უფლებების შეზღუდვა... რჩება ასეთიგზა: ვენდოთ ამ დამიანს და მივცეთ მას არანაწილობრივი, არამედ ყოველგვარი უფლებები.

## გადატრიალების მიზეზები:

ზოგჯერ გადატრიალება ხდება წესწყობილების შეცვლის მიზნით... ზოგჯერ წყობილებას არ ეხებიან და ხელთ იგდებენ მხოლოდ ძალაუფლებას.

## რატომ ესხმიან თავს ტირანს:

თავდასხმები ტირანზე გამოწვეულია ტირანის თავხედობით და მიმართულია მისი პიროვნების წინააღმდეგ. უმეტესად თავდასხმა აწყობენ შურისძიების და არა პატივმოყვარეობის გამო. ზოგჯერ მას თავს ესხმიან სიძულვილის გამო... ზოგიერთს კი კლავენ მეგობრები ზიზღის გამო.

## დემოკრატია:

დემოკრატიისათვის დამახასიათებელია ყველა ადამინის მონაწილეობა ყველა საკითხის განხილვაში. სწორედ ასეთი თანასწორობა უნდა ხალხს.

***

ძალაუფლება უნდა იყოს უფრო მოქალაქეთა უმრავლესობის ხელში, ვიდრე მცირერიცხოვანი აროსტოკრატიისა.

***

დემოკრატიის სრულყოფილ ფორმაში ყველა მონაწილეობს ხელისუფლებაში.

***

ხალხის მასას უნდა მიეცეს დიდი გასაქანი მმართველობაში და მოსამართლეების არჩევნებში.

***

ხალხი უკეთ განსჯის, ვიდრე ნებისმიერი ერთი ადამიანი. გარდა ამისა, უმრავლესობა ნაკლებ შეიძლება იყოს უზნეო, ვიდრე ერთი ადამიანი.

## კანონები:

კანონი ნიშნავს წესრიგს, ხოლო, სადაც არის კარგი კანონი, იქ აუცილებლად არის კარგი წესრიგი.

***

სადაც არაა კანონი, იქ არც სახელმწიფოა. კანონი უნდა წყვეტდეს ყველაფერს, ხოლო თანამდებობის პირები და სახელმწიფო უნდა წყვეტდნენ კერძო საკითხებს.

***

ის, ვინც მოითხოვს, რომ სახელმწიფოს მართავდეს გონება, ის მოითხოვს,რომ სახელმწიფოს მართავდეს კანონი და ღმერთი, ხოლო ვინც მოითხოვს რომ მართავდეს ადამიანი, ის მოითხოვს მმართველობაში ცხოველის შემოყვანას, რადგან ვნება და მრისხანება ცხოველური თვისებებია და ის ამახინჯებს ადამიანებს, თუნდაც ისინი საუკეთესონი იყვნენ.

***

ისინი, რომლებიც მართავენ სახელმწიფოს, უნდა ხელმძღვანელობდნენ კანონებით, რადგან უკეთესია ის, რასაც არ აწუხებს განცდები არც საერთოდ და არც მიჩვევის გამო. კანონებს ეს არ ახასიათებს, რაც ყოველი ადამიანის სულისათვის არის აუცილებელი.

## თანასწორობა და უთანასწორობა:

ფიქრობენ, რომ სამართლიანი უნდა იყოს თანასწორობა და ეს სწორია, მაგრამ არა ყველასათვის, არამედ თანასწორთათვის, უთანასწორობაც სამარ თლიანობაა, მაგრამ არა ყველასთვის, არამედ არა თანასწორთათვის.

## ადამიანის ზნეობა:

ადამიანი ბედნიერია იმდენად, რამდენადაც ის ზნეობრივია და გონიერი და მის შესაბამისად მოქ მედებს. ამის საბუთი თვითონ ღმერთია, რომელიც ბედნიერია და ნეტარი არა გარეშე სიკეთეებით, არამედ თავისთავად და თავისი ბუნებრივი თვისებებით.

***

კარგად მოქმედება შეუძლებელია სწორად მოქმედების გარეშე. არ შეიძლება კარგად მოქმედება, ან კარგი ადამიანობა, ან კარგი სახელმწიფოს არსებობა გონიერებისა და ზნეობრიობის გარეშე.

***

*მოქალაქის ზნეობა სახელმწიფოზეა დამოკიდე ბული.*

***

ბუნებრივად ადამიანის იარაღს წარმოადგენს გონიერება და ზნეობა, რომლის გამოყენება შეიძლება საწინააღმდეგო მიმართულებითაც. ამიტომ ადამიანი ზნეობის გარეშე მხეცური ბუნებისაა.

## ქონების გაერთიანება დაუშვებელია:

რაოდენ სასიამოვნოა ეხმარებოდე მეგობარს, სტუმარს, ამხანაგებს. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ კერძო საკუთრების არსებობისას. ამას არ ექნება ადგილი იქ, სადაც ცდილობენ ყველაფერი გააერთიანონ.

****

ქონების გაერთიანება სპობს უხვობასა და ხელ გაშლილობას, რადგან სიუხვე არ გამოვლინდება მაშინ, როცა არაფერს არ სჩადის სიუხვის მაგვარს. სიუხვე თავს იჩენს მაშინ, როცა შეგიძლია ქონების დახარჯვა.

****

ქონების გაერთიანებისას მეტ წინააღმდეგობას აქვს ადგილი, ვიდრე კერძო საკუთრების არსებობისას.

***

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას არამხოლოდ ის, რომ ქონების გაერთიანების დროს ქრება ბოროტება, არამედ ისიც, რომ ქრება სიკეთეც და, როგორც ჩანს, სიცოცხლე სრულიად შეუძლებელი ხდება.

## ადამიანი ერთ საქმეს უნდა ასრულებდეს:

ცუდია აგრეთვე ის, როდესაც ერთსა და იმავე ადამიანს აქვს რამდენიმე დიდი თანამდებობა. ერთი ადამიანი კარგად გაუძღვება ერთ საქმეს. ამიტომ საჭიროა, რომ კანონმდებელმა ამას ყურადღება მიაქციოს და არ დაუშვას რომ ერთი და იგივე ადამიანი სალამურსაც უკრავდეს და წაღებსაც კერავდეს.

***

***დიდ თანამდებობაზე ერთი კაცი მხოლოდ ერთხელ უნდა დაინიშნოს:***

***

ერთსა და იმავე ადამიანს არ შეუძლია ხელმეორედ იმავე თანამდებობაზე დარჩენა, არ შეუძლია გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ. საერთოდ, უკეთესია რომ თვითეულ საქმეს ასრულებდეს ადამიანი, რომელიც ერთი საქმითაა დაკავებული, ვიდრე ის, ვისაც მრავალი საქმე აბარია.

## მაღალი თანამდებობების დაკავება რიგით უნდა ხდებოდეს:

სამართლიანი იქნებოდა, რომ მმართველობაში, კარგია ის,თუ ცუდი, ყველა მონაწილეობდეს... ადამიანები მაშინ თითქოს თანასწორნი და სულ სხვანი ხდებიან, როცა ერთნი მართავენ და მეორენი ემორჩილებიან რიგ-რიგობით. ასევე თანამდებობებიც უნდა ეკავოთ სხვადასხვა ადამიანებს და არა ერთსა და იმავეს.

გვახსოვდეს

*არ დაივიწყებს მოყვრისა, აროდეს ვეიზამს ზიანსა...*

# ისინი ილღვოდნენ ქალაქისათვის


დემურ ბერაია


თენგიზ ბარამიძე


აკაკი ტიკარაძე


გარი ჟღენტი


მამია ჩხეიძე


გონერი ხახუბია


სპარტაკ კვირაია


მიხეილ ალანი

მიდიხარ, ისე მიგაქვს წვალება,
თითქოს ზღვის პირას თივას თიბავდე,
ვინა სთქვა შენი გარდაცვალება,
არა, უთუოდ დღეს დაიბადე.

მიდიხარ, აღარ დაგემდურება,
არც მინიერი არც ზეციერი,
ვინა სთქვა შენი უბედურება,
არა, დღესა ხარ შენ ბედნიერი.

მიდიხარ, ცვბიდი გქონდეს მგზავრობა,
სხვა ბინა მარად იყო ზღაპარი,
ვინა სთქვა შენი მიუსაფრობა,
არა, შენ ჰპოვე თავშესაფარი.

მიდიხარ, შენს ბედს ბევრი ინატრებს
ბედნიერს, ბედი სხვა არსად არი,
შენ სივრცეებმა დაგაბინადრეს,
შენ უკვდავების ხარ ბინადარი..


ბორის გოგიჩაიშვილი


შოთა მაჭავარიანი


ლედორი თავაძე


ტუნტუ ჯანუაშვილი

## როზლანდ (გურამ) მიხეილის – ძე ლაკიას მარადიულ არდავიწყებას!

*შვილო ტანჯული ქვეყნისა ,ცრემლი მიგყვება ხალხისა ,*
*მიუხვალ მამა-პაპათა ამოღებულის ხანჯლითა!*



საქართველოს ვეტერანთა ცენტრალური კავშირის გამგეობა და წევრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ხანგძლივი მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 77 წლის ასაკში გარდაიცვალა სახელოვანი ქართველი მამულიშვილი , სამშობლოზე და მშობელ ხალხზე უზომოდ შეყვარებული პატრიოტი ,საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი პიროვნება, დამოუკიდებელი საქართველოს სამხედრო აღმშენებლობის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი ,საქართველოს ეროვნული გმირის---საქართველოს პირველი პრეზიდენტის - ზვიად კონსტანტინეს -ძე გამსახურდიას უახლოესი თანამოაზრე და თანამებრძოლი , საქართველოს შეიარაღებულ ფორმირებათა გაერთიანებული შტაბის ყოფილი უფროსი , გვარდიის პოლკოვნიკი

**როზლანდ (გურამ) მიხეილის -ძე ლაკია .**

შეწყდა გულისცემა ქართველი რაინდისა, ვისაც თავისი ცხოვრების არცერთი წუთი არ უცხოვრია სამშობლოს სიყვარულის,მისი უანგარო მსახურებისა და მისთვის თავგანწირვის გარეშე, ვინც სიცოცხლის ბოლო წუთამდე უერთგულა ერთიანი, ძლიერი,,დემოკრატიული საქართველოს ნათელი მომავლისთვის ბრძოლას და შრომას!

არის ასეთი პროფესია ---იცავდე სამშობლოს ,ჯარისკაცის ფარაჯა ჩაცმული, იარაღით ხელში,თავდადებით,თავგანწირვით, სიცოცხლის ფასადაც კი იდგე მისი თავისუფლების, დამოუკიდებლობის პროგრესისა და დიადი მომავლის სადარაჯოზე!

სამშობლოს ჯარისკაცის გმირულ პროფესიას მიუძღვნა მთელი თავისი ცხოვრება ფაზისქალაქელმა ჭაბუკმა და სამხედრო კარიერის მანძილზე განვლო გზა რიგითი ჯარისკაციდან გვარდიის პოლკოვნიკის მაღალი წოდების მქონე ოფიცრობამდე. მსახურობდა რა საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების ელიტარული სამხედრო-საინჟინრო დანაყოფის მეთაურად,გათანაბრებული დივიზიის მეთაურთან, მოხვეჭილი ჰქონდა მაღალი ავტორიტეტი და პატივისცემა. საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების პირველივე დღიდანვე უარი განაცხადა კარიერულ წინსვლაზე და მხარში ამოუდგა ქვეყნის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას სამხედრო აღმშენებლობის საქმეში.

დედა სამშობლოს და მშობელი ხალხის სისხლით, ცრემლით და ოფლით დაწერილი ისტორიის ქარტეხილზე---ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების პირველ დღეებში, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად კონსტანტინეს-ძე გამსახურდიას 1991 წლის 25 ოქტომბრის ბრძანებულებით გვარდიის პოლკოვნიკი როზლანდ(გურამ) მიხეილის- ძე ლაკია დაინიშნა საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოს შტაბის უფროსად, მთავარი სამმართველოს უფროსის პირველ მოადგილედ. მთელი თავისი აკადემიური ცოდნა,მაღალი სამხედრო პროფესიონალიზმი,დიდი პრაქტიკული გამოცდილება, ადამიანებთან ურთიერთობის დახვეწილი და რაფინირებული თვისებები ბატონმა გურამმა მოახმარა ქვეყნის განვითარების და მისი უსაფრთხოების უმნიშვნელოვანეს და ურთულეს საქმეს--- სამხედრო აღმშენებლობას და სრულყოფას.

ვაგლახ ,რომ ქვეყანას თავს დაატყდა შიდა აშლილობის, გაუტანლობის, ღალატისა და მუხანათობის დიდი უბედურება და აუცილებელი გახდა იარაღით ხელში გარეშე და შიდა მტრისთვის ჯეროვნად გამკლავება. ამ მძიმე განსაცდელის ჟამს,1993 წლის 26 სექტემბერს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის--უმაღლესი მთავარსარდლის --ზვიად კონსტანტინეს-ძე გამსახურდიას ბრძანებით გვარდიის პოლკოვნიკი როზლანდ( გურამ) მიხეილის -ძე ლაკია დაინიშნა საქართველოს ყველა შეიარაღებული ფორმირების გაერთიანებული შტაბის უფროსად .

კიდევ ერთი სისხლიანი ფურცელი ჩაიწერა ჭირვარამგამოვლილი საქართველოს ისტორიაში. ამაო გამოდგა ჭეშმარიტ მამულიშვილთა თავდადება და თავგანწირვა უმძიმესი განსაცდელისაგან ეხსნათ დედა -სამშობლო . უბედურებას უბედურება დაემატა ----ქართველთა და აფხაზთა დაპირისპირების ტრაგედია და მისი სავალალო შედეგი სრულიად საქართველოსთვის . და ყველა ამ განსაცდელში, ყოფნა-არყოფნის მიჯნაზე ,ბატონი გურამ ლაკიას სახელთან იყო დაკავშირებული სწორად გათვლილი, სამართლიანი, პირუთვნელი, რაინდულად შემართული ღირსეული მოქმედებები ,როგორც ბრძოლის ველზე,ასევე მოლაპარაკებების მაგიდასთან და ადამიანებთან ურთიერთობისას , რისთვისაც ასე უზომოდ უყვარდათ ბატონი გურამი მამულიშვილებს ,თანამოქალაქეებს , თანაქალაქელებს , ქვეყნის ღირსეულ მეომრებს და პირველ რიგში----- საქართველოს ეროვნულ გვარდიელებს.

წავიდა ჩვენგან სახელოვანი ქართველი ვაჟკაცი, ჭეშმარიტი მამულიშვილი, მგზნებარე პატრიოტი,სამხედრო აღმშენებლობის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი,ნათელი იდეებისთვის გულანთებული და თავგანწირული რაინდი,ვისაც მუხანათმა წუთისოფელმა ბედად არგუნა მისთვის ნასროლი და სიცოცხლის ბოლომდე მის სხეულში დარჩენილი ხუთი ტყვია ,რამაც ვერ მოკლა გმირი ვაჟკაცი გურამ ლაკია, ვერ მოკლა ქართველ კაცში თავისი სათაყვანებელი დედა-სამშობლოსათვის ბრძოლისა და თავგანწირვის უსაზღვრო სწრაფვა და სწორედ ამიტომაა საქართველო და ქართველი ერი უკვდავებასთან თანაზიარი!

მშვიდობით ,თქვენო აღმატებულებავ ,ბატონო გვარდიის პოლკოვნიკო!

საქართველოს შეიარაღებული ძალების, ომისა და შრომის ვეტერანები თავს გიხრიან მარადიული სიყვარულის , პატივისცემისა და არდავიწყების ნიშნად!

მსუბუქი იყოს თქვენთვის , გურამ ბატონო, მშობლიური მიწა, ფაზის-ქალაქის გულში რომ ჩაგიხუტებთ ლაკიათა საგვარეულო სასაფლაოზე!

მიდიხართ,ტკბილი გქონდეთ მგზავრობა!

**პაატა ვაჟას-ძე გეგენავა**
საქართველოს ვეტერანთა ცენტრალური
კავშირის ფოთის საქალაქო კავშირის თავმჯდომარე, ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს კაზაკთა გენერალ-მაიორი,
კაზაკი ხალხის გმირი

## რეგიონული და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა საქართველოში



გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის „რეგიონული და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა საქართველოში“ ფაზა 2-ის ფარგლებში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე მზია გიორგობიანმა და გაეროს განვითარების პროგრამების ხელმძღვანელმა ანა ჩერნიშოვამ, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად,

გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში, ფოთში მარტოწყალას ტბაზე ,განხორციელებული სამუშაოები დაათვალიერეს.

პროექტის ფარგლებში მოეწყო საჩრდილობლები, ვიზიტორთა და მეთევზეთა მომსახურების ცენტრები,პირსი. პროექტი უაღრესად მნიშვნელოვანია როგორ სპორტული თევზჭერის, ისე ტურისტული განვითარების კუთხით.

ვიზიტის ფარგლებში სტუმრები კოლხეთის ეროვნული პარკს სტუმრობდნენ, რომელიც 2021 წლის 26 ივლისს UNEშ-ჩO-ს მიერ აღიარებული იქნა მსოფლიო მემკვიდრეობად და ამიერიდან იგი დაცული იქნება საერთაშორისო კონვენციით.

გაეროს განვითარების პროგრამას მრავალი წელია წვლილი შეაქვს კოლხური ტყეების კონსერვაციასა და დაცვაში, UNESCO-ს მიერ კოლხური ტყეებისა და ჭარბტენიანი ტერიტორიების უნიკალურ ეკო-რეგიონად აღიარება კი არამხოლოდ ქალაქ ფოთის, არამედ მთელი ქვეყნის ტურისტული პოტენციალის ზრდისა და ეკონომიკური განვითარებისთვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

## ფოთის მუნიციპალიტეტი EU4CULTURE-ს კონკურსში შერჩეულ ქალაქებს შორისაა

პროექტ EU4Culture კონკურსში "განაცხადების მიღება კულტურის განვითარების სტრატეგიის შემუშავების მხარდასაჭერად" შერჩეულ ქალაქებს შორის ფოთი ერთ-ერთია.

კონკურსში მონაწილეობა მიიღო 70-მა ქალაქმა აღმოსავლეთ პარტნიორობის 5 ქვეყნიდან: აზერბაიჯანი, მოლდოვა, საქართველო, სომხეთი და უკრაინა.

საქართველოდან კონკურსში მონაწილეობის სურვილი 11-მა ქალაქმა გამოთქვა. მიღებული განაცხადების სიღრმისეული შეფასების შემდეგ, EU-4Culture-მ თითოეული ქვეყნიდან შერჩეული 5 ქალაქი გამოავლინა.

საქართველოდან კონკურსის შემდეგ ეტაპზე ფოთი, ზუგდიდი, ახალციხე, თელავი და ქუთაისი გამოვლინდნენ.

შერჩეულ ქალაქებს სრული საკონკურსო განაცხადის მოსამზადებლად 1000 ევრომდე გრანტი გადაეცემათ..

კონკურსის მომდევნო ეტაპზე თითოეული ქვეყნიდან მაქსიმუმ სამი ქალაქი მიიღებს 30,000 ევროს ოდენობის გრანტს კულტურის განვითარების სტრატეგიის სრული ვერსიის მოსამზადებლად.




საბოლოოდ კი თითოეულ ქვეყანაში ერთი ქალაქი მოიპოვებს 300,000 ევრომდე დაფინანსებას საკუთარი სტრატეგიის განსახორციელებლად. გრანტთან ერთად გამარჯვებული ქალაქები მიიღებენ მხარდაჭერას შესაძლებლობების გაძლიერების კუთხით.

EU4Culture ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ოთხწლიანი პროექტია, რომელიც მიზნად ისახავს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში კულტურისა და შემოქმედებითი სექტორის მხარდაჭერას. პროექტს ახორციელებენ გოეთეს ინსტიტუტი (წამყვანი პარტნიორი), დანიის კულტურის ინსტიტუტი, ჩეხეთის ცენტრები და საქართველოს ფრანგული ინსტიტუტი.

სამადლობელი

## ფოთის ცენტრალური სავადმყოფო ბომონდის ექიმებს



პროფესია ყველა ერთნაირად საპასუხისმგებლო და საჭიროა, მაგრამ ადამიანები, რომლებიც ჩვენი ჯანმრთელობის სადარაჯოზე არიან განსაკუთრებულ თაყვანისცემასა და მოწიწებას იმსახურებენ.

ჯანმრთელობის უკიდურესად გაუარესების გამო მოვხვდი ქ. ფოთის ცენტრალური საავადმყოფო „ბომონდის" სამეანო-გინეკოლოგიურ განყოფილებაში. სიცოცხლე სასწორზე იდო, მაგრამ აქ დამხვდა საუკეთესო მედიკოსთა გუნდი: ექიმი **ნოე მაცაბერიძე**, რომელიც იმდენად პოზიტიური და პროფესიონალია, მაშინვე განვეწყვე, რომ საიმედო ხელში ვიყავი. მის გვერდით იდგა ასევე როფესიონალი ანესთეზიოლოგი **გოჩა კუკავა**, რომლის გამო რჩევამ მიმაღებინა სწორი გადაწყვეტილება. ხერხემლიდან გაუტკივარების შესახებ, რომელმაც გაამართლა და ამ ადამიანების დიდი ძალისხევით და თავდადებით ოპერაცია წარმატებით დასრულდა.

ამ ადამიანებს ზურგს უმაგრებდნენ პროფესიონალი ექიმები: **ნინო მაშავა, ი. წულაია**, უმცროსი ექიმი **ხ. ბესელია**. არ შემიძლია განსაკუთრებულად არ ავღნიშნო ქ-ნ ნინო მაშავა, რომელსაც დღე და ღამე გასწორებული აქვს, მისთვის არ არსებობს შეზღუდული სამუშაო დღე. ის არის მაგალითი იმისა, თუ როგორი უნდა იყოს კარგი დედა, კარგი თანამშრომელი, კარგი ექიმი, კარგი მეგობარი და საერთოდ კარგი ადამიანი, ამიტომაცაა, ვისაც ერთხელ მაინც შეხება ჰქონია მის მადლსა და ხიბლს ვერ ივიწყებს.

ოპერაციის დროს ყველა რგოლი გამართულად უნდა მუშაობდეს. საღამოს ექთანი ნ. ზენაიშვილი, ანესთეზიოლოგის ექთანი ი. ცხვიტარია, საოპერაციოს სანიტარი ლ. ტყებუჩავა.

მორიგე ექთნები თ კაკულია, მ. გოგიჩაიშვილი, გულნაზი თოფურია, თამუნა ვადაქარია. ესენი ის ადამიანები არიან, ნებისმიერ წუთს წარბშეუხრელად მზად არიან პაციენტების დასახმარებლად.

დიდი მადლობა მათ სუყველას ერთგულად გაწეული შრომისათვის.

კიდევ ერთხელ და ალბათ არც არასოდეს არ მომბეზრდება მათთვის მადლობის გადახდა, მაგრამ განსაკუთრებული მადლობა ჩემთვის უაღრესად პატივცემულ ადამიანებს, ქირურგს ნოე მაცაბერიძეს და ანესთერეზიოლოგ გოჩა კუკავას. ღმერთმა დალოცოს თქვნი მარჯვენა და საქმე, რომელსაც ასე თავდაუზოგავად ემსახურებით.

მოწიწებით ქედს ვიხრი თვენს წინაშე და მთელი გულით გლოცავთ, რომ ძალიან დიდხანს იყოთ კარგად, ჯანმრთელად, რათა ძალიან ბევრი მადლიანი საქმეები აკეთოთ.

დიდი პატივისცემით მადლიერი პაციენტი ლიანა ჟორდანია

## ნუგზარ კონსტანტინეს-ძე ესაკიას არდავიწყებას!



საქართველოს ვეტერანთა ცენტრალური კავშირის ფოთის საქალაქო კავშირის გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ქართველ ვეტერანთა ერთობამ დიდი დანაკლისი განიცადა - 71 წლის ასაკში ხანგრძლივი, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ვეტერანი სამართალდამცავი, სამართალდამცველთა არაერთი თაობის აღმზრდელი და დამრიგებელი, პოლიციის პოლკოვნიკი თადარიგში,

ბატონი ნუგზარ კონსტანტინეს-ძე ესაკია!

ბატონი ნუგზარის ცხოვრება ნათელი მაგალითია სამშობლოსა და მშობელი ხალხის ერთგული, უანგარო მსახურებისა, არჩეული პროფესიისადმი თავდადებისა და თავგანწირვისა.

ოთხ ათეულ წელზე მეტი იღვაწა ბატონმა ნუგზარმა საქართველოს სამართალდამცველ ორგანოებში და განვლო ფათერაკებითა და სიძნელეებით სავსე გზა რიგითიდან - პოლიციის პოლკოვნიკობამდე.

ეს მისი და მისი თაობის ქართველი პოლიციელების თავდადებამ და თავგანწირვამ გახადა შესაძლებელი ქვეყანაში მართლწესრიგისა და კანონიერების განმტკიცება და სრულყოფა, რასაც უმძიმესი ზიანი მიაყენა ქართულ- აფხაზური, ქართულ-ოსური და სამოქალაქო დაპირისპირების ტრაგიკულმა მოვლენებმა.

ბატონი ნუგზარი ბრძოლის პირველ რიგში იდგა და თავდადების, გამჭრიახობის და შეუპოვრობის მაგალითს აძლევდა თავის თანამშრომლებსა და თანამებრძოლებს.

*“ შვილო ტანჯულის ქვეყნისა,*
*ცრემლი მიგყვება ხალხისა,*
*მიუხვალ მამა-პაპათა*
*ამოღებული ხანჯლითა!”*

სწორედ პოლიციის სამსახურის მოწინავე ფლანგზე —- სისხლის სამართლის სამძებრო სამსახურის საქმიანობის დროს ჩამოყალიბდა ბატონი ნუგზარი, როგორც უნარიანი ხელმძღვანელი და პრინციპული სამართალდამცავი - რაც მას ჯეროვნად დაუფასდა - მინიჭებული ჰქონდა პოლიციის პოლკოვნიკის საპატიო წოდება, დაჯილდოვებული იყო არაერთი მედლით

სამართალდამცავი ორგანოების ვეტერანები თავს გიხრით ნუგზარ ბატონო დიდი სიყვარულის, დიდი მადლიერებისა და ერთგულების ნიშნად!

მშვიდობით, თქვენო აღმატებულებავ - ბატონო პოლკოვნიკო!

მსუბუქი იყოს თქვენთვის თქვენი მშობლიური მიწა!



საქართველოს ვეტერანთა ცენტრალური კავშირის წევრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 77 წლის ასაკში მძიმე, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა თვალსაჩინო სამხედრო პიროვნება, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების შექმნისა და ჩამოყალიბების ერთ-ერთი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დასავლეთის მიმართულების სარდლის ყოფილი მოადგილე აღმზრდელობით დარგში, ძალოვანი სტრუქტურების ოფიცერთა მრავალი თაობის აღმზრდელი და დამრიგებელი ,სინდისით, პატიოსნებით და ღირსებით შემკული ჭეშმარიტი მამულიშვილი და პატრიოტი, კოლხური ზნეობით გამორჩეული რაინდი, თადარიგის პოლკოვნიკი -

**შაქრო გრიგოლის-ძე შამათავა**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.



## განცხადება:

**იყიდება: ორსართულიანი კაპიტალური სახლი ქალაქის ცენტრში, განაშენიანებული ეზოთი.მის: იერუსალიმის №4; ტელ: 551 499 555**

## მხატვრული ხედვა, ახალი დიზაინი



*თუ გინდათ თქვენი სამუშაო ადგილი, ოფისის გარე ხედი, ინტერიერი გაალამაზოთ, მიმართეთ სარეკლამო სამსახურს. აქვე დაგიმზადებენ ველოსიპედისა და მოპედის ნომრებს.*

*თქვენს დაკვეთას შეასრულებს მხატვარ-დიზაინერი რევაზ ჭანტურია.*

*ტელ: 551 94 00 48 (რიონის სანაპირო, ბაზრის ტერიტორია)*


რედაქციის მისამართი: ქ.ფოთი, თამარ მეფის №52 , საკონტაქტო ტელ: (0493) 22-25-13 გაზეთი იბეჭდება ქალაქ ფოთში შ.პ.ს. ,,ირიდაში“ E-mail: k.khobalia@gmail.com
რედაქტორი ზ. აბრალავა